The Coup d'État in Georgia (December 1991 – January 1992) According to British and Irish Press Coverage

სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში (1991წ. დეკემბერი-1992წ. იანვარი) ბრიტანული და ირლანდიური პრესის მასალების მიხედვით

Giorgi Butskhrikidze

PhD student of history
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Chavchavadze avenue 1, Tbilisi, Georgia.
ORCID: 0009-0005-2820-5635
giorgi.butskhrikidze464@hum.tsu.edu.ge
+995577394158

Abstract

From the beginning of September 1991, opposition protests and clashes with the government took on an irreversible character. These events were covered from the very first days by British and Irish publications. Some of them had correspondents in Georgia who reported the news directly from the epicenter of events. The changes in their headlines directly indicate the complexity of the situation, which ultimately culminated on January 6, 1992, with the overthrow of the legitimate government and, in early March 1992, with the return to Georgia of former Soviet Foreign Minister Eduard Shevardnadze, which also had a wide international resonance due to his political past.

Keywords: Political crisis; Coup d'état; British-Georgian relations; Press; Public opinion.

გიორგი ბუცხრიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის #1
ORCID: 0009-0005-2820-5635
giorgi.butskhrikidze464@hum.tsu.edu.ge
+995577394158

1991 წლის სექტემბრის დასაწყისიდან ოპოზიციის გამოსვლებმა და დაპირისპირებამ ხელისუფლებასთან შეუქცევადი ხასიათი მიიღო. აღნიშნულ მოვლენებს პირველივე დღიდანვე აშუქებდნენ ბრიტანული და ირლანდიური გამოცემები. ზოგიერთ მათგანს საქართველოში ჰყავდათ კორესპოდენტები, რომლებიც პირდაპირ, მოვლენების ეპიცენტრიდან გადასცემდნენ ახალ ამბებს. მათი სათაურების ცვლილება პირდაპირ მიგვანიშნებს მდგომარეობის სირთულეზე, რაც საბოლოოდ 1992 წლის 6 იანვარს დასრულდა

ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობით და 1992 წლის მარტის დასაწყისში საქართველოში სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევადნაძის დაბრუნებით, რომელსაც ასევე ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა მისი პოლიტიკური წარსულის გამო.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური კრიზისი; სახელმწიფო გადატრიალება; ქართულ-ბრიტანული ურთიერთობები; პრესა; საზოგადოებრივი აზრი.

შესავალი

„ცივი ომის“ დასასრულს, როდესაც გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის დაშლის რეალური პერსპექტივა, დასავლური საზოგადოების ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ბრიტანული პრესა, რის დადასტურებასაც წარმოადგენს, ბეჭდურ მედიასა და ტელევიზიებში არსებული მასალები. მრავალრიცხოვანი გამოცემები ყოველდღიურ რეჟიმში აწვდიდნენ ინფორმაციას მკითხველს სსრ კავშირში არსებულ ვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად უპირისპირდებოდნენ მოსკოვის დიქტატს. კერძოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნები, მოლდოვა და საქართველო.

1991 წლის გაზაფხულიდან საქართველოში პოლიტიკური პროცესები უკიდურესად გამწვავდა. დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია და ჯერ სექტემბერში, შემდეგ კი დეკემბრის თვიდან შეიარაღებული შეტაკების სახე მიიღო. ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში ოპერატიულად და ობიექტურად აისახა ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები. პუბლიკაციები მოიცავს საქართველოში მიმდინარე ოპოზიციის გამოსვლებს, შემდეგ უკვე ლეგიტიმური მთავრობის დამხობისკენ მიმართულ პროცესებს და სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას საქართველოში, აღნიშნულ პროცესებს აქტიურად აშუქებდა დასავლური პრესა. საკმარისია აღინიშნოს, რომ განსახილველ პერიოდში საქართველოში არსებულ ვითარებაზე, ბრიტანულ და ირლანდიურ გამოცემებში გამოქვეყნდა 70–მდე პუბლიკაცია. ჩვენი ქვეყნის შესახებ არსებული პრესის პუბლიკაციები მნიშვნელოვანია იმით, რომ მკითხველს ცნობებს აწვდიდა ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე და შესაბამისად, მოქმედებდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ამ პერიოდში საქართველოში იმყოფებოდნენ ცალკეული გამოცემების კორესპონდენტები, რომლებიც თვითონ აკვირდებოდნენ პროცესებს და მათ მიერ მომზადებული პუბლიკაციები ერთგვარ პირველწყაროდაც შეგვიძლია განვიხილოთ, მოცემული პერიოდის შესწავლისა და გაანალიზებისთვის. ვითარების გამწვავებასთან ერთად უფრო მძიმდებოდა პუბლიკაციების სათაურებიც და მათზე თვალის გადევნება ასახავს, მდგომარეობის ცვლილებას.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს, საქართველოს ისტორიის გარდამტეხი ეტაპის, 1991-

1992 წლების მიჯნაზე განვითარებული მოვლენების გაშუქება ბრიტანული მასალების მიხედვით, რომლებიც პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში. ნაშრომში ჩვენ ვიყენებთ შემდეგ ბრიტანულ გამოცემებს: "Aberdeen Evening Express", "Aberdeen Press and Journal", "Dundee Courier", "Irish Independent", "Liverpool Echo", "Newcastle Journal", "Reading Evening Post", "Sunday Tribune", "The Courier and Advertiser", "The Scotsman" და სხვ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამ ეტაპზე არ არსებობს კომპლექსური ნაშრომი: სტატიის ან მონოგრაფიის სახით, რომელშიც განხილული იქნება ბრიტანული მრავალფეროვანი და განსხვავებული შეხედულებების მქონე პრესის მასალები, აღნიშნული საკითხის შესახებ.

ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ამერიკელი წარმოშობის ჟურნალისტის თომას გოლცის ნაშრომი, „საქართველო: ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში". ავტორი 1992 წლის იანვარში მომხდარი სამხედრო გადატრიალების ჩამოვიდა საქართველოში, როგორც გაზეთ "Sunday Times"-ის კორესპონდენტი და აშუქებდა არსებულ ვითარებას.

კვლევის მეთოდოლოგია:

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგია. გამომდინარე იქიდან, რომ უახლესი ისტორიის მოვლენებთან დაკავშირებული პრესის მასალების შესწავლა და ანალიზი წარმოადგენს ნაშრომის ძირითად ამოცანას, გამოვიყენეთ რეტროსპექტული მეთოდი, რამაც მოგვცა საშუალება ისტორიული მოვლენების შეფასების და გაანალიზების, მისი შედეგებიდან გამომდინარე. ხოლო ისტორიული მოვლენების დროის დინამიკაში შესასწავლად მივმართეთ ისტორიზმის პრინციპს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ისტორიული მოვლენების განვითარებას, მისი საწყისიდან და დავინახოთ მიმართება სხვა პროცესებთან.

მსჯელობა და შედეგები

1991 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით საქართველოში ვითარება კვლავ მძიმე რჩებოდა, ოპოზიციის მომხრე შეიარაღებული ფორმირებები თითქმის ყოველდღიურად ესხმოდნენ თავს სახელმწიფო უწყებებს, პოლიციას ართმევდნენ იარაღს. მიუხედავად ხელისუფლების არაერთი მოწოდებისა, ოპოზიციის მომხრეებმა არ ჩააბარეს იარაღი. 1991 წლის დეკემბერის ბოლოს საქართველოში მიმდინარე დაპირისპირების პარალელურად, იმავე წლის 8 დეკემბერს სამი საბჭოთა რესპუბლიკის: რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის ლიდერებმა: *„ბელორუსიაში, ბელოვეჟის ტყეში ხელი მოაწერეს, ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც სსრ კავშირი იურიდიულად წყვეტდა არსებობას და ამავე დროს უნდა შექმნილიყო, დამოუკიდებელ რესპუბლიკათა თანამეგობრობა დსთ. მათი აზრით მათ ჰქონდათ სსრ კავშირის დაშლის უფლება, რადგან აღნიშნული ქვეყნები იყვნენ ხელმომწერნი 1922 წელს, სსრკ–ის შექმნის"*(McCauley, 2013, გვ. 479). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა–ატაში, საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი არ მოაწერეს დსთ–ში გაწევრიანებას, რასაც განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ბრიტანული და ირლანდიური გამოცემები. აღნიშნული მოსაზრება აქვს გამოთქმული ზვიად გამსახურდიას თავის მოგონებებშიც *„მე ამ შეხვედრაზე არ გამოვსულვარ, რადგან მივიჩნევდი დსთ–ს იმპერიის*

ახალ ფორმად, ეს კი რესპუბლიკაში სამხედრო გადატრიალების დაჩქარების მიზეზად იქცა“ (Гамсахурдиа, 1996, გვ. 120).

დაძაბულობამ პიკს მიაღწია 1991 წლის 22 დეკემბერს, როდესაც ოპოზიციის მომხრე შეიარაღებულმა ფორმირებებმა, ეროვნული გვარდიის აჯანყებულმა ნაწილმა და „მხედრიონმა“ დაიწყეს პოზიციების გამაგრება უზენაესი საბჭოს შენობასთან. ამავე დღეებში, ყაზახეთის მაშინდელ დედაქალაქ ალმა–ატაში იმართებოდა საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელების შეკრება, სადაც გამოცხადდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა“. მასში გაწევრიანებაზე უარი განაცხადეს: საქართველომ, მოლდოვამ და ბალტიისპირეთის სამმა რესპუბლიკამ. *„საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა დსთ–ში შესვლაზე, რის შესახებაც აღნიშნული პოზიცია ალმა–ატაში დააფიქსირეს ნემო ბურჭულაძემ და გურამ აბსანძემ“*(შველიძე, 2008, გვ. 441). 1991 წლის 22 დეკემბრის დილიდან დაიწყო შეტევა საკანონმდებლო ორგანოზე, სადაც განლაგებული იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობისა და უზენაესი საბჭოს წევრები, ასევე ხელისუფლების ერთგული გვარდიის ნაწილები.

საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე აქტიურად წერდა ბრიტანული და ირლანდიური პრესა. თითქმის ყოველდღე ქვეყნდებოდა პუბლიკაციები თბილისში მიმდინარე დაპირისპირების შესახებ. 24 დეკემბერს ირლანდიური გამოცემის Irish Independet-ის მოსკოვში მყოფმა კორესპონდენტმა ჯონ კემპფნერმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „სისხლისღვრის 50 მსხვერპლი საქართველოში, ჯოჯოხეთი ქუჩებში“, რომელშიც მკითხველს აცნობს არსებულ ვითარებას: *„საქართველოს დედაქალაქში, ორი დღეა გრძელდება დაპირისპირება, ოპოზიციურმა ძალებმა განაახლეს შეტევა, პარლამენტზე და მათი მიზანია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებიდან ჩამოშორება და განდევნა* (Irish Independet, 1991, გვ. 10). პუბლიკაციის ავტორი საუბრობს დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ და მოჰყავს ორი მონაცემი: ოფიციალური - ჯანდაცვის სამინისტროსი, რომლის მიხედვითაც იმ ეტაპზე დაღუპული იყო 18 და დაშავებული 140–მდე და არაოფიციალური, რომელიც *„სააგენტო Tass-მა გაავრცელა, რომლის მიხედვით შეტაკებას უკვე 50 მსხვერპლი ჰყავს“*(Irish Independet, 1991, გვ. 10). აღნიშნულია ისიც, რომ დაპირისპირების დროს იყენებენ როგორც ავტომატურ იარაღს, ასევე არტილერიას, რომელმაც დააზიანა შენობები. აქვე მოყვანილია თენგიზ სიგუას სიტყვები, რომ *„ჩვენი მოთხოვნები არ იცვლება. ჩვენ კვლავ მოვითხოვთ მის (პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას–გ.ბ) გადადგომას“*(Irish Independet, 1991, გვ. 10) სტატიაში საუბარია ზვიად გამსახურდიას მიმართ გამოთქმულ ბრალდებებზე, რომ მას ედავებოდნენ ოპოზიციის და პრესის შევიწროვებას და ასევე მისი მმართველობის დროს გართულებულ ვითარებაზე სამხრეთ ოსეთში. პუბლიკაციაში ხაზგასმულია, რომ ალმა–ატაში შეკრებილი რესპუბლიკებიდან *„საქართველო იყო 12 წარმოდგენილი ქვეყნიდან ერთადერთი, რომელმაც უარი განაცხადა, დათანხმებოდა ხელშეკრულებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ორგანიზაციის შექმნის შესახებ“* (Irish Independet, 1991, გვ. 10). ამავე სტატიაში განხილულია, ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ BBC-ის კორესპონდენტთან, სადაც განაცხადა, რომ *„მზად ვარ ძალაუფლების, ოპოზიციის*

ლიდერებთან განაწილებისათვის, მაგრამ მათ არ სურთ მოლაპარაკება" (Irish Independet, 1991, გვ. 10). სტატიის ბოლო ნაწილი ეთმობა, ირლანდიელი მკითხველისათვის ზვიად გამსახურდიას, მოღვაწეობის ძირითადი ეპიზოდების გაცნობას.

თბილისში მიმდინარე დაპირისპირების შესახებ გამოქვეყნდა ვრცელი პუბლიკაცია, Aberdeen Press and Journal–ში სათაურით „საქართველო დაპირისპირების ჩიხში შევიდა." სტატიაში აღწერილია თბილისში არსებული მდგომარეობა, დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, *„ორი დღის განმავლობაში შეტაკებებს 18 ადამიანი ემსხვერპლა. იყენებდნენ ავტომატებს და ტყვიამფრქვევებს"* (Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.10). საქართველოში არსებული მძიმე ვითარების განხილვის დროს აღნიშნულია, რომ სექტემბრიდან მიმდინარეობს დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. *„როგორც გვაცნობებენ ოპოზიციამ ორი დღეა განალაგა თავის ძალები პარლამენტთან, მათ შორის მძიმე ტექნიკით და არტილერიით, მიმდინარეობს შეტევა"* (Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.10). აქვე განხილულია სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობები, უზენაესი საბჭოს შენობის დაზიანების შესახებ, რომლეშიც თავს აფარებს ხელისუფლება. მკითხველს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებაც, რომ დახურულია თბილისის აეროპორტი არსებული არასტაბილური ვითარების გამო. პუბლიკაციაში ხაზგასმულია:*„ზვიად გამსახურდიამ შესთავაზა მოლაპარაკებები აჯანყებული ოპოზიციის ლიდერებს, მაგრამ ისინი უარს ამბობენ შეთანხმებაზე"*(Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.10). სტატიაში აღწერილია, თუ როგორ დაიძაბა ურთიერთობები ზვიად გამსახურდიასა და თენგიზ კიტოვანს, შორის და მოხდა განხეთქილება, რის შემდეგაც დაიწყო დაპირისპირება. ავტორი განიხილავს რა საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ასკვნის: *„მიმდინარე სისხლისღვრა არის კიდევ ერთი საშინელი შეხსენება იმისა, რომ მიუხედავად საბჭოთა კავშირის აღსასრულისა, პოლიტიკური პროცესები კვლავ აგრძელებს დუღილს"*(Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.10). პუბლიკაციის ბოლოს მკითხველს აწვდის ცნობას, რომ თბილისში განვითარებული მოვლენების პარალელურად, კვლავ გართულდა სიტუაცია ცხინვალის რეგიონშიც, რომელიც აღარ ემორჩილება ხელისუფლებას.

1991 წლის 27 დეკემბერს აჯანყებული გვარდიელების მეშვეობით, საპატიმროდან გაქცევა შეძლეს „მხედრიონის" ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა, ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელმა გიორგი ჭანტურიამ და სხვებმა. გვარდიის ნაწილებმა მოახერხეს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შენობის დაკავება. იმავე დღეს ბრიტანულ გამოცემა Aberdeen Press and Journal–ში დაიბეჭდა სტატია სათაურით „აჯანყებულმა გვარდიელებმა დაიკავეს კაგებეს შტაბი". პუბლიკაციაში აღწერილია, რომ *„აჯანყებულმა გვარდიელებმა დაიკავეს საქართველოს უშიშროების სამსახურის შენობა და ასევე ციხიდან გაათავისუფლეს, რამდენიმე პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის, გიორგი ჭანტურია, რომელიც დაპატიმრებულია ოქტომბრიდან"* (Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.10). აქვე აღწერილია თბილისში არსებული დაპირისპირების სურათი: *„საქართველოს დედაქალაქში მუდმივად ისმის, ავტომატების და რაკეტების სროლის ხმა, ღამის ცაზე ჩანს*

ტვიამფრქვევებიდან გასროლის კვალი. პარლამენტის ირგვლივ ყველა შენობა დანგრეული და დამწვარია“(Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.10). ბოლოს აღნიშნულია, რომ ოფიციალური მონაცემებით უკვე დაღუპულია 42 ადამიანი. ამავე საკითხს ეხება Aberdeen Press and Journal–ში 28 დეკემბერს გამოქვეყნებული მეორე პუბლიკაცია, „კაგებედან პატიმრები გაათავისუფლეს“. სტატიის მიხედვით, საქართველოს რადიოს ცნობით განთავისუფლდა სამი პოლიტიკური პატიმარი. როგორც *„თვითმხილველები აღნიშნავენ, გამუდმებული ცეცხლის შემდეგ დაზიანდა პარლამენტის შენობა, სადაც გამსახურდია არის შეფარებული. შემდეგ აჯანყებულებმა განაგრძეს შეტევა საქართველოს უშიშროების სამსახურის შენობაზე, რომელიც ასევე თბილისის ცენტრში მდებარეობს“* (Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.10). როგორც სტატიაში აღნიშნულია, კვირას დაწყებულ შეტაკებებს უკვე ემსხვერპლა 42 ადამიანი და 260 დაშავდა, მას შემდეგ რაც გვარდიამ დაიწყო ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. აქვე სტატიის ავტორს მოჰყავს სატელეფონო ინტერვიუ მოსკოვში მყოფ რადიო რეპორტიორ ლუბა ჩხენკელთან, რომლის თანახმადაც *„ოპოზიციის ძალებმა გაათავისუფლეს ციხიდან, გიორგი ჭანტურია, რომელიც იყო ზვიად გამსახურდიას ყოფილი მოკავშირე და ორი სხვა დისიდენტი“*(Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.10). აღნიშნულია, რომ სამივე დაპატიმრებული იყო ზვიად გამსახურდიასადმი ოპოზიციურად განწყობილი და ეწინააღმდეგებოდნენ *„მის დიქტატორულ კონტროლს, 5,4 მილიონიან ქვეყანაზე მას შემდეგ რაც გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში ამ წლის მაისში“*(Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.10). სტატიის მიხედვით ზვიად გამსახურდია ახლა თავის 1000–მდე მომხრესთან ერთად იმყოფება პარლამენტის შენობაში. პუბლიკაციაში ასევე მოხმობილია პრეზიდენტის სატელევიზიო ინტერვიუ, სადაც ის აცხადებს, რომ: *„მე არ ვარ მოლაპარაკებების წინააღმდეგი , მე მხოლოდ ვეწინააღმდეგები კრიმინალების ძალადობრივ მეთოდებს და სამოქალაქო ომს“* (Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.10) გამოცემა Aberdeen Press and Journal–მა ორ პუბლიკაციაში საინტერესოდ და საკმაოდ ინფორმატიულად გააშუქა საქართველოში არსებული ვითარება.

1991 წლის 29 დეკემბერს, თბილისში განვითარებულ მოვლენებზე ირლანდიურმა გაზეთმა Sunday Tribune-მა ორი ვრცელი პუბლიკაცია გამოაქვეყნა. სტატიები მნიშვნელოვანია იმით, რომ საქართველოში არსებულ მოვლენებს აღნიშნულ გაზეთს გადასცემდა ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტოს Reuters-ის რეპორტიორი ბრაიან კილენი, რომელიც სწორედ 1991 წლის დეკემბერში იმყოფებოდა თბილისში და აწვდიდა ცნობებს, საინფორმაციო საშუალებებს. პირველი სტატიაში, რომელიც უფრო გაცნობით ხასიათის არის სათაურით, „გამსახურდია არაპოპულარული ხდება“, განხილულია ზვიად გამსახურდიას, მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტები, დისიდენტობიდან გაპრეზიდენტების ჩათვლით, ასევე საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება და სსრ კავშირთან დამოკიდებულება. შესავალში აღნიშნულია: *„საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ წარმოადგენდა თავის პატარა მთიელი ხალხის გმირს. მაისში აირჩიეს პრეზიდენტად და მიიღო ხმების 87%. ხოლო, ახლა კი აღმოჩნდა სისხლისმღვრელ ბრძოლაში“*(Sunday Tribune 1991, გვ. 10). აქვე აღნიშნულია, ისიც, რომ 52 წლის პრეზიდენტი,

5,2 მილიონიან ახალი დემოკრატიის ქვეყანას სულ შვიდი თვეა მართავს, მაგრამ *„ბევრი ინტელექტუალი, რომელიც მასთან ერთად იბრძოდა კრემლის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მისი ოპოზიცია გახდა“* (Sunday Tribune 1991, გვ.10). კორესპონდენტი განსაკუთრებით აღნიშნავს იმასაც, რომ: *„ძალადობრივი პროტესტის ბოლო ეტაპი დაიწყო რამდენიმე საათში, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ საქართველომ ხელი არ მოაწერა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებას, რაც მოსკოვთან ურთიერთობების დაძაბვას ნიშნავდა“*(Sunday Tribune 1991, გვ. 10). ავტორი განმარტავს, რომ ზვიად გამსახურდია არის ცნობილი ქართველი მწერლის შვილი და მან გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში გამართულ პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში. ის მეთაურობდა საქართველოს 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლას. საგაზეთო პუბლიკაციაში აღნიშნულია, ისიც, რომ ზვიად გამსახურდიას *„რეპუტაცია განსაკუთრებით გაიზარდა 1970–იანი წლებში მას შემდეგ, რაც დააფუძნა ადამიანის უფლებათა დამცველი ჰელსინკის ჯგუფი. ყველა პატივს სცემდა და თვლიდნენ, რომ ის გაუძღვებოდა საქართველოს მშვიდობიან ბრძოლას დამოუკიდებლობისაკენ“*(Sunday Tribune 1991, გვ.10). ავტორი განმარტავს იმასაც, რომ პრეზიდენტს ხშირად უწევდა პოლიტიკის ცვლილება არასტაბილური სიტუაციის გამო. აქვე მოკლედ არის ახსნილი 1991 წლის მოსკოვის „აგვისტოს პუტჩის“ შემდეგ განვითარებული მოვლენები, რა დროსაც მას მოუწია თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა თენგიზ სიგუა და გიორგი ხოშტარია, რომლებიც ახლა ოპოზიციაში არიან. ამავე გაზეთში გამოქვეყნებული მეორე სტატია „დროებითი ზავი თბილისში ალყას აჩერებს,“ იწყება 27 დეკემბერს ხელისუფლებასა და ოპოზიციის წარმომადგენელთა შორის მიღწეული შეთანხმების განხილვით, რომელსაც უნდა შეეჩერებინა დაპირისპირება თბილისში, თუმცა საბოლოოდ არ შესრულდა. ოპოზიციის მომხრე გვარდიამ დაიწყო შეტევა სახელმწიფო სტრუქტურებსა და ობიექტებზე. პუბლიკაციის ავტორი ბრაიან კილენი აღნიშნავს, რომ: „მიაღწიეს *შეთანხმებას ხელისუფლების მომხრე და აჯანყებული ოპოზიციის ძალებმა, რათა შეაჩერონ დაპირისპირება, რომელმაც უკვე იმსხვერპლა 51 ადამიანი“* (Sunday Tribune 1991, გვ. 10) აქვე იმოწმებს ჯაბა იოსელიანის სიტყვებს, რომელიც მან განაცხადა მოლაპარაკების პირველი ეტაპის შემდეგ: *„მე ვფიქრობ, რომ საღი აზრით მიიღებს გადაწყვეტილებას მოპირდაპირე მხარე“* (Sunday Tribune 1991, გვ. 10). აქვე განმარტავს, რომ შეხვედრა გაიმართა სატელევიზიო ცენტრში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წარმომადგენლებსა და ეროვნული გვარდიის აჯანყებული ნაწილის ხელმძღვანელ თენგიზ სიგუას შორის, რომელიც *„ზვიად გამსახურდიას ბრალს დებდა დიქტატურის დამყარებაში“*(Sunday Tribune 1991, გვ. 10). როგორც ავტორი შენიშნავს, მოლაპარაკების დასრულებამდე ისმოდა თბილისში ტყვიამფრქვევების ხმა, დამწვარია რუსთაველის პროსპექტზე განლაგებული შენობების დიდი ნაწილი. აქვე აღწერს მოწინააღმდეგე მხარეთა განლაგებას და პერიოდულ შეტაკებებს.

1991 წლის 29 დეკემბერს, ხელისუფლების მომხრე შეიარაღებულმა ძალებმა, რუსთაველის პროსპექტიდან განდევნეს აჯანყებული ოპოზიციის ფორმირებები. აღნიშნული ფაქტი და ზოგადად თბილისში არსებული ვითარება გაშუქდა Irish Independet-ის ფურცლებზე

სტატიაში, „აჯანყებულები უკან იხევენ, საქართველოს მეთაური კი ბუნკერში რჩება," ვკითხულობთ, რომ: *„გუშინ ხელისუფლების მომხრე ძალებმა გააძევეს აჯანყებულები, რომლებსაც პარლამენტისთვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული და ესროდნენ. ხელისუფლებამ აღადგინა კონტროლი, მთავარ გამზირზე"* (Irish Independet 1991, გვ.16). ასევე განხილულია 27 დეკემბრის მოლაპარაკება და მისი შედეგებიც. პუბლიკაციის ავტორი აღნიშნავს, რომ *„ზვიად გამსახურდია თავის მომხრეებით პარლამენტის ბუნკერშია გამაგრებული და მას 500–დან 1000–მდე მისი ერთგული გვარდიელი ჰყავს თან"* (Irish Independet 1991, გვ.16). პუბლიკაციაში განმარტებულია ისიც, რომ: „საქართველოში მდგომარეობა განსაკუთრებით *გართულდა მას შემდეგ, რაც ამ კავკასიურმა ქვეყანამ უარი განაცხადა 11 საბჭოთა რესპუბლიკასთან ერთად ხელი მოეწერა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის ხელშეკრულებაზე"*(Irish Independet 1991, გვ.16). ამავე ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს შესახებ კიდევ ერთი მცირე პუბლიკაცია, „სოფლების მხარდაჭერა", სადაც ვკითხულობთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს უპირისპირდება ოპოზიცია, *„მას მხარს განსაკუთრებით ძლიერად უჭერენ მხარს რეგიონები და მშრომელთა კლასი"*(Irish Independet 1991, გვ.16). აღნიშნულ სტატიებში მკითხველი ხვდება საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობებს 1991 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოში განვითარებულ მოვლენების შესახებ.

1991 წლის დეკემბერში თბილისში მიმდინარე დაპირისპირება არის ასახული Aberdeen Press and Journal–ის 31 დეკემბრის ნომერში, სადაც გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით „ქართული ცეცხლისშეწყვეტა ჩაიშალა", რომელიც მკითხველს აცნობს, რომ აჯანყებულები ებრძვიან პრეზიდენტის მომხრე ძალებს თბილისში და დროებით მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ჩაიშალა. აქ მოყვანილია ოპოზიციის ლიდერების განცხადება, რომ *„პრეზიდენტ გამსახურდიას შეუძლია შეაჩეროს სისხლისღვრა თუ ის გადადგება"* (Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.7). აქვე მოყვანილია მაიორ გელა ლანჩავას სიტყვები, კითხვაზე არის თუ არა მზად პარლამენტზე შეტევისთვის? პასუხობს *„დიახ, მზად ვარ ჩემს ხალხთან ერთად"*(Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.7). ასევე აღნიშნულია, რომ აჯანყების ხელმძღვანელობას შეუერთდნენ ოპოზიციის ის წევრებიც, რომლებმაც რამდენიმე დღის უკან დატოვეს ციხე. მათი განცხადებით: *„მოსახლეობაში პოპულარულია აჯანყება დიქტატორის წინააღმდეგ"* (Aberdeen Press and Journal, 1991, გვ.7. სტატიაში მოყვანილია ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური განცხადება, რომლის მიხედვითაც ამ ეტაპზე დაღუპულია 53 და დაშავებულია 300–მდე ადამიანი. პუბლიკაციის ბოლოს აღნიშნულია, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ყველაზე დიდი პოლიტიკური ოპონენტი არის ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ლიდერი გიორგი ჭანტურია, რომელიც ხალხს მოუწოდებს იბრძოლონ დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის. 1991 წლის დეკემბრის მიწურულს საქართველოში კრიტიკული ვითარება შეიქმნა. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა შეტაკებები ხელისუფლების და ოპოზიციის ძალებს შორის.

1992 წლის იანვარი საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების და შეტაკებების ფონზე დაიწყო. კვლავ გრძელდებოდა თბილისში, რუსთაველის გამზირზე ბრძოლები. ოპოზიციის მომხრე ფორმირებები უკვე თითქმის მთელ თბილისს აკონტროლებდნენ, მათ ასევე დაემატათ ახალი ძალები, როდესაც საპატიმროებიდან გამოუშვეს მსჯავრდებულები და მათ იარაღი დაურიგეს. 2 იანვრიდან მმართველობის სადავეები თავის ხელში აიღო „სამხედრო საბჭომ“ ჯაბა იოსელიანის და თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით, ხოლო პრემიერ–მინისტრად გამოცხადდა თენგიზ სიგუა. „სამხედრო საბჭომ“ გამოაქვეყნა: *„საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიმართვა, საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელმაც აუწყა ხალხს, რომ დიქტატორული რეჟიმი დამხობილია“* (შველიძე, 2008, გვ. 441). ბრიტანული და ირლანდიური პრესა კვლავ აქტიურად აშუქებდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

ირლანდიურმა გაზეთმა Irish Independet–მა 1992 წლის 3 იანვარს გამოაქვეყნა პუბლიკაცია, სათაურით „აჯანყებულები ძალაუფლების მოსაპოვებლად ერთიანდებიან“. სტატია იწყება იმის აღნიშვნით, რომ საქართველოში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირების დროს *„ალყაში მოქცეული ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ჩამოყალიბეს სამხედრო საბჭო, რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლება“*(Irish Independet, 1992, გვ.11). ასევე აღწერილია შეტაკების შემდეგ დანგრეული ქალაქის ცენტრი და მოყვანილია ჯაბა იოსელიანი სიტყვები რომ: *„მისი ხალხი განახორციელებს ქალაქის კონტროლს ღამის 1–დან დილის 6–მდე“*((Irish Independet, 1992, გვ.11). ამავე პუბლიკაციაშია განხილულია სამხედრო საბჭოს განცხადებაც, რომელიც ჰპირდებოდა საზოგადოებას, რომ: *„არ იქნება მკაცრი აკრძალვები და არ შევუშლით ხელს შეხვედრებსა და მიტინგებს“*(Irish Independet, 1992, გვ.11). აქვე ვკითხულობთ იმის შესახებაც, რომ ჯაბა იოსელიანმა მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს, დაიწყონ ალტერნატიული მთავრობის ფორმირება და მოემზადონ ახალი არჩევნებისთვის. სტატიაში დამოწმებულია ქართული საინფორმაციო სააგენტოს ცნობა, რომ *„პარლამენტზე განხორციელდება შეტევა თუ ზვიად გამსახურდია არ დატოვებს მას 24 საათში“* (Irish Independet, 1992, გვ.11). ხაზგასმულია, ისიც რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები არ მონაწილეობენ შეტაკებებში და ისინი თავს არიდებენ „მხედრიონთან“ და ოპოზიციის სხვა შეიარაღებულ ფორმირებებთან შეტაკებას. აქვე აღნიშნულია ისიც, რომ: *„ბესიკ ქუთათელაძემ, რომელსაც ევალებოდა სატელევიზიო ანძის დაცვა, გადაინაცვლა სამხედრო საბჭოს განაკში“* (Irish Independet, 1992, გვ.11). ამავე პუბლიკაციაში ვხდებით ზვიად გამსახურდიას მომხრეთა პოზიციების განხილვასაც, რომ ისინი არ აპირებენ დანებებას. ავტორი იმოწმებს ერთ–ერთი მათგანის, თემურ გოლეთიანის სიტყვებს, რომელიც მან პარლამენტის შენობიდან განაცხადა: *„ჩვენ უნდა გავანადგუროთ ეს ღორები (იგულისხმება ოპოზიციის შეიარაღებული ფორმირებები. გ.ბ). ჩვენ არ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, ბანდიტებთან, მძარცველებთან და კრიმინალებთან“*(Irish Independet, 1992, გვ.11). სტატიის დასასრულს მოყვანილია სხვადასხვა მონაცემები დაღუპულთა შესახებ, ოპოზიციის მიხედვით დაპირისპირებას შეეწირა 200–მდე ადამიანი, ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური ცნობით იმ ეტაპზე დაღუპული იყო 71.

საქართველოში არსებულ ვითარებას ვრცელი სტატია მიუძღვნა ბრიტანულმა გამოცემამ Aberdeen Press and Journal, სადაც ასევე 1992 წლის 3 იანვარს გამოქვეყნდა პუბლიკაცია „ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობა საქართველოში." სტატია იწყება, ცნობით, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულმა ძალებმა შექმნეს, სამხედრო საბჭო: *„მათი ძალები გარშემორტყმული არიან თბილისში პარლამენტის შენობის ირგვლივ და აპირებენ მასში შეჭრას, სადაც უკვე 11 დღეა ზვიად გამსახურდია იმყოფება თავის მომხრეებთან ერთად"*(Aberdeen Press and Journal, 1992, გვ.8). აქვე მკითხველს აცნობს ჯაბა იოსელიანის განცხადებას, ახალი სამთავრობო სტრუქტურების შექმნის შესახებ და სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც თენგიზ სიგუა დაინიშნა პრემიერ–მინისტრად. პუბლიკაციის ბოლოს განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ *„თუ 24 საათში ზვიად გამსახურდია არ დატოვებს პარლამენტს მას შეუტევს ოპოზიციის ძალები"*(Aberdeen Press and Journal, 1992, გვ.8). ორივე განხილული პუბლიკაცია მკითხველს აწვდის ფაქტობრივად ყველა მნიშვნელოვან ცნობას 1992 წლის იანვრის პირველ დღეებში თბილისში მიმდინარე პროცესებზე.

1992 წლის 2 იანვარს თბილისში დიდუბის ტერიტორიაზე შეიკრიბა რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მომიტინგე, რომელთა მიზანიც იყო მისულიყვნენ პარლამენტთან და გაეფანტათ აჯანყებული გვარდიელები, მაგრამ მათ ნიღბიანმა უცნობმა პირებმა გაუხსნეს ცეცხლი, რასაც მოჰყვა მსხვერპლიც. აღნიშნული ფაქტი გაშუქდა 4 იანვარს, ბრიტანულ გამოცემა Aberdeen Press and Journal–ში, სადაც დაიბეჭდა სტატია სათაურით „ნიღბიანმა შეიარაღებულებმა დახოცეს მომიტინგეები". პუბლიკაციის შესავალში აღნიშნულია, რომ: „გუშინ *ნიღბიანმა პიროვნებებმა ესროლეს ზვიად გამსახურდიას მომხრე მომიტინგეებს, რასაც ემსხვერლა რამდენიმე ადამიანი"*(Aberdeen Press and Journal, 1992, გვ.6). აღწერილია შეტევის მიმდინარეობა, რომ მიკროავტობუსიდან გაუხსნეს ცეცხლი მომიტინგეებს, და აქვე დამოწმებულია ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური განცხადება, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ სისხლისღვრისას დაიღუპა ორი და დაშავდა 27 მომიტინგე. პუბლიკაციის მიხედვით დემონსტრაციის მონაწილეები აპროტესტებდნენ „სამხედრო საბჭოს" მიერ ხელისუფლების ახალი სტრუქტურების ფორმირებასაც. აქვე მოყვანილია ზვიად გამსახურდიას სიტყვები სატელევიზიო ინტერვიუდან, რომ: *„სამხედრო საბჭო არის ხუნტა, რომელსაც არ აქვს ხალხის მხარდაჭერა და კვლავ თვითონ აკონტროლებს სიტუაციას"*. რაზეც გიორგი ჭანტურიამ განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდიას *„არ აქვს არანაირი ძალაუფლება და ოპოზიცია აკონტროლებს, როგორც თბილისს ისე მის მისადგომებს"* (Aberdeen Press and Journal, 1992, გვ.6).

ირლანდიურ გამოცემა Sunday Tribune-ში, რუბრიკა „კვირის ფრაზებში" მოყვანილია, ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელის გიორგი ჭანტურიას სიტყვები: „თუ ეს სიტუაცია დიდხანს გაგრძელდება, მაშინ *„მოსალოდნელია, რომ იქნება სისხლის ზღვა"* (Sunday Tribune, 1992, გვ.6).

1992 წლის 6 იანვარს, ირლანდიურ გაზეთ Irish Independet–ში გამოქვეყნდა, მისი თბილისში მყოფი კორესპონდენტის სტივენ მალვი, ანალიტიკური სტატია სათაურით, „ალყაშემორტყმული პრეზიდენტი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ინიციატივით გამოდის“ (Irish Independet, 1992, გვ.16). ავტორი მიმოიხილავს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, პარლამენტის შენობიდან გაავრცელა განცხადება, სადაც მის წინააღმდეგ მებრძოლ აჯანყებულებს მოუწოდა, რომ ჩატარდეს *„რეფერენდუმი მისი გადადგომის საკითხზე და დაემორჩილება ხალხის ნებას“* (Irish Independet, 1992, გვ.16). ავტორის ცნობით ორკვირიან დაპირისპირებას უკვე ემსხვერპლა 73 ადამიანი და კვლავაც გრძელდება შეტაკებები. მისი ცნობით ისვრიან რაკეტებს და ტყვიამფრქვევებით ხსნიან ცეცხლს, ხოლო *„ახლად შექმნილმა სამხედრო საბჭომ გამოაცხადა ძალაუფლების აღების შესახებ“* (Irish Independet, 1992, გვ.16). აქვე კორესპოდენტი იმოწმებს თენგიზ სიგუას სიტყვებსაც, რომ *„მთელი თბილისი ჩვენს ხელშია და მცირედით წინააღმდეგობას გვიწევენ, მხოლოდ რაიონების პრეფექტები“* (Irish Independet, 1992, გვ.16). ამავე სტატიაში აღნიშნული აქვს ზვიად გამსახურდიას 1000–მდე მომხრის მიერ გამართული მიტინგის დარბევის საკითხიც, რომელთაც ნიღბიანმა პირებმა გაუხსნეს ცეცხლი. პუბლიკაციაში მოჰყავს ზვიად გამსახურდიას სიტყვები, რომლითაც მიმართა საზოგადოებას, *„მე მივმართავ ქართველებს, რომ გაუწიონ წინააღმდეგობა ფაშისტებსა და პუტჩისტებს. ჩვენ ვართ მართლები და ვიქნებით მართლები მუდამ“* (Irish Independet, 1992, გვ.16). კორესპონდენტი სტივენ მალვი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ჟურნალისტებს დაუკავშირდა ზვიად გამსახურდია მთავრობის სასახლიდან და ესაუბრა მათ ინგლისურად, რა დროსაც აღნიშნა, რომ აჯანყებულები აპირებენ მათ გადაუკეტონ საკვების და მედიკამენტების მომარაგების საშუალება, მაგრამ იმედს გამოთქვამდა, რომ ვერ შეძლებენ მძლავრი შეტევის განხორციელებას და კორესპონდენტებს განუცხადა, რომ თუ *„მის მოწინააღმდეგებს სურთ გადააყენონ, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ რეფერენდუმის გზით“* (Irish Independet, 1992, გვ.16).

Irish Independet–ის ამავე ნომერში დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებაც, რომ ესპანეთში მცხოვრებმა გიორგი ბაგრატიონ–მუხრანელმა დაუდასტურა ადგილობრივ პრესას, რომ მზად არის მონაწილეობა მიიღოს საქართველოში მშვიდობის დამყარებაში და მან ასევე მან გამოთქვა სურვილი გახდეს საქართველოს მეფე. აქვე განმარტებულია ისიც, რომ ბაგრატიონები 1801 წლიდან აღარ მართავენ საქართველოს, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ დაიპყრო ქვეყანა. მსგავსი შინაარსის ცნობა გამოქვეყნდა Sunday Tribune-ში (Sunday Tribune, 1992, გვ.14).

მძიმე ბრძოლების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო გადაწყვეტილება 1992 წლის 6 იანვარს, თავის მომხრეებთან ერთად დაეტოვებინა მთავრობის სასახლე. მათ თავშესაფარი შესთავაზა სომხეთის ლიდერმა ლეონ ტერ–პეტროსიანმა. თბილისის დატოვებისას და სომხეთისკენ მიმავალ გზაზე მათ რამდენიმე ჩასაფრება მოუწყვეს აჯანყებული ოპოზიციის მომხრე შეიარაღებულმა ფორმირებებმა. ლეგიტიმური

ხელისუფლების მოწინააღმდეგეებმა ასევე გაავრცელეს ცრუ ინფორმაცია თითქოს ზვიად გამსახურდიამ წაიღო საქართველოს ხაზინიდან 700 მილიონი მანეთი. 7 იანვარს გამოქვეყნდა სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის მიმართვაც, სადაც ის ულოცავდა საქართველოს დიქტატურის დამხობას და აცხადებდა, რომ შეეცდებოდა ქვეყნისთვის საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას.

აღნიშნული პროცესები გააშუქა ბრიტანულმა გამოცემამ Liverpool Echo, რომლის 7 იანვრის ნომერშიც გამოქვეყნდა სტატია „საქართველოში აჯანყებულები პრეზიდენტის დაბრუნებას ითხოვენ“, თბილისში განვითარებული მოვლენების განხილვის შემდეგ, პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები, რომლებიც მას იარაღით დაუპირისპირდნენ, ითხოვენ, რომ *„საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დააბრუნონ სომხეთიდან, ვინაიდან გაქცევის დროს როგორც აცხადებენ მან თავისი ავტოკოლონით გაიტაცა 700 მილიონი მანეთი“* (Liverpool Echo, 1992, გვ.5). ამავე სტატიაში ვხდებით სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის გავრცელებულ განცხადებასაც სადაც მან მოუწოდა *„თავის მშობლიურ საქართველოს რესპუბლიკას, რომ შეუერთდეს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას“* (Liverpool Echo, 1992, გვ.5). აქვე ისიც არის აღნიშნული, რომ ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს პრეზიდენტს „დიქტატორი“ უწოდა. ქვეყნის დატოვების შემდეგ ზვიად გამსახურდიასთან პირველი ინტერვიუ ჩაწერეს სომეხმა კორესპონდენტებმა, რომლის მცირე ნაწილიც დაიბეჭდა Aberdeen Evening Express-ში საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას განაცხადა, რომ *„მე არ გადავმდგარვარ თანამდებობიდან, მე კვლავ პრეზიდენტად ვრჩები“* (Evening Express, 1992, გვ.2).

საქართველოში მიმდინარე პროცესებს ვრცელი პუბლიკაცია მიუძღვნა ირლანდიურმა გამოცემამ Irish Independet-მა, რომლის კორესპონდენტი სტივენ მალვი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მოვლენების დროს იმყოფებოდა თბილისში და აქედან აწვდიდა გაზეთს ცნობებს. სტატია სათაურით „თბილისში მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს“, იწყება თბილისში ზვიად გამსახურდიას მომხრე მიტინგის სასტიკი დარბევის ცნობით, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. ავტორის ცნობით ასევე საქართველოს ზოგიერთი რეგიონის ხელმძღვანელობა აპირებს არ დაემორჩილოს სამხედრო საბჭოს. საგაზეთო პუბლიკაციაში განხილულია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და მისი მომხრეების მიერ დედაქალაქის დატოვების და სომხეთში გადასვლის საკითხიც და იმოწმებს ჯაბა იოსელიანის განცხადებას, სადაც ის *„მოითხოვს მოხდეს საქართველოში მისი (ზვიად გამსახურდიას – გ.ბ) ექსტრადაცია“* (Irish Independet, 1992, გვ.26). აქვე იმოწმებს სომხეთის პრეზიდენტის განცხადებაც, რომლის მიხედვითაც ზვიად გამსახურდია დაბრუნდება, მხოლოდ ლეგიტიმური მთავრობის შექმნის შემდეგ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ლევან შარაშენიძე აწარმოებდა მოლაპარაკებას სომხეთში მყოფ საქართველოს პრეზიდენტსა და მის მომხრეებთან, რომლის მიხედვითაც *„ამ ეტაპზე ზვიად გამსახურდიას შეუძლია დარჩეს სომხეთში, ხოლო მის მომხრეებს განიარაღების შემთხვევაში ექნებათ საქართველოში*

დაბრუნების უფლება" (Irish Independet, 1992, გვ.26). პუბლიკაციის დანარჩენი ნაწილი ეთმობა თბილისში ლეგიტიმური ხელისუფლების მომხრეთა მიერ გამართულ აქციებს და აქ კორესპონდენტი სტივენ მალვი დაწვრილებით განიხილავს, თბილისში დიდუბის ავტოსადგურის ახლოს მომხდარ დარბევას, რა დროსაც ადგილზე დაიღუპა სამი მომიტინგე და დაშავდა მრავალი: *„10–დან 15–მდე შეიარაღებული ნიღბიანი პირი დამიზნებით პირდაპირ ესროდნენ მომიტინგეებს"* (Irish Independet, 1992, გვ.26). მოვლენების შეფასების დროს ავტორი იმოწმებს, მისი მოსაზრებით ზომიერი ოპოზიციონერის, დეპუტატ თედო პაატაშვილის სიტყვებს, რომ „მხედრიონის" და გვარდიის აჯანყებული წევრების ქმედებები შეიძლება შეფასდეს, როგორც *„შეიარაღებულ აჯანყებასა და გადატრიალებას შორის ქმედება"* (Irish Independet, 1992, გვ.26). ამავე დეპუტატის აზრით, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი არც პრეზიდენტის და არც აჯანყებული ოპოზიციის მომხრე არ არის. გამოცემა Reading Evening Post–ის 8 იანვრის ნომერში ვხდებით სტატიას სათაურით „შევარდნაძის მინიშნება." პუბლიკაციაში განხილულია ედუარდ შევარდნაძის ზემოაღნიშნული მიმართვა, რომლის მიხედვითაც გამოცემა გამოთქვამს ვარაუდს, რომ სსრ კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მინიშნება გააკეთა იმის, შესახებ, რომ მას *„სურს გახდეს საქართველოს ახალი მთავრობის წევრი"* (Reading Evening Post, 1992, გვ.26). ამავე პუბლიკაციის მიხედვით ედუარდ შევარდნაძემ მხარდაჭერა გამოუცხადა, იმ ლიდერებს რომლებიც 16 დღის განმავლობაში *„აწარმოებდნენ ბრძოლას არჩევნებში სამართლიანად გამარჯვებულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან"* (Reading Evening Post, 1992, გვ.26). ასევე აღნიშნულია, რომ ზვიად გამსახურდია იმყოფება სომხეთში, საქართველოს საზღვრიდან 50 კილომეტრში. სტატიაში მოყვანილია ცნობა, რომელშიც მოსკოვში მყოფი სომხეთის მთავრობის წარმომადგენლის განცხადებით, *„ზვიად გამსახურდიამ თავის 150–მდე მომხრესთან ერთად თავი შეაფარა სომხეთს და მის მთავრობას სთხოვა დახმარება, რომ შეძლოს თავშესაფრის მიღება დასავლეთში"* (Reading Evening Post, 1992, გვ.26). პუბლიკაციის ბოლოს ხაზგასმულია, რომ თბილისში პრეზიდენტის მომხრეები მუდმივად მართავენ მიტინგებს და აპროტესტებენ ძალადობას. 1991 წლის 20 დეკემბრიდან 1992 წლის 8 იანვრის ჩათვლით *„დაღუპულთა რაოდენობამ მიაღწია ას ცამეტ ადამიანს, ორივე მხრიდან დაჭრილებისამ – ოთხასს"* (Reading Evening Post, 1992, გვ.26).

მას შემდეგ რაც ზვიად გამსახურდიამ თავის მომხრეებთან ერთად 1992 წლის 6 იანვარს დატოვა საქართველოს ტერიტორია და სომხეთის რესპუბლიკაში გადავიდა, პერიოდულად ვრცელდებოდა ცრუ ინფორმაცია მისი დაბრუნების შესახებ. რაზეც პრესის სხვადასხვა სააგენტოებიც წერდნენ ხოლმე. ბუნებრივია, აღნიშნული დეზინფორმაციის გავრცელებისგან არ იყო დაზღვეული ბრიტანული და ირლანდიური გამოცემებიც, ამიტომ მოკლედ უნდა შევეხოთ ამ საკითხსაც. მაგალითად, იმავე წლის 16 იანვარს Aberdeen Evening Express-ში , რუბრიკაში „საზღვარგარეთ", გამოქვეყნდა ცნობა, ზვიად გამსახურდიას ქალაქ ზუგდიდში დაბრუნების შესახებ, სადაც თითქოს მან *„გამოაცხადა ჯვაროსნული ომი სამხედრო საბჭოს წინააღმდეგ"* (Aberdeen Evening Express, 1992, გვ. 2).

17 იანვარს კი Irish Independet–ში გამოქვეყნდა მოსკოველი კორესპონდენტის ჯონ კემპფნერის ვრცელი პუბლიკაცია სათაურით „ხელისუფლებიდან ჩამოგდებული ქართველი შურისძიებისთვის ბრუნდება." სადაც წერია იმის შესახებ, თითქოს *„ზვიად გამსახურდია სოხუმში ჩაფრინდა და იწყებს ბრძოლას ძალაუფლების დასაბრუნებლად, მის წინააღმდეგ საბრძოლველად კი მიემართება თენგიზ კიტოვანი თავის 4000 გვარდიელთან ერთად"* (Irish Independet, 1992:30).

განხილული ცრუინფორმაციის გავრცელების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი, თომას გოლცი, რომელიც აღნიშნულ პერიოდში იყო რეპორტიორი და გამოცემა Sunday Times-ის რედაქტორის დავალებით იმყოფებოდა ზუგდიდში და შემდეგ სოხუმში, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გავრცელდა ინფორმაცია ზვიად გამსახურდიას დასავლეთ საქართველოში დაბრუნების შესახებ და კორესპონდენტს დავალებული ჰქონდა მასთან ექსკლუზიური ინტერვიუს ჩაწერა, რომელიც რა თქმა უნდა, ვერ შედგა. მისი შენიშვნით ცრუ ინფორმაცია გაავრცელა სააგენტო ITAR-TASS-მა, რომელიც თავის მხრივ *„იმ დიდი სიცრუის მანქანასთან ასოცირდებოდა, რომელსაც კომუნისტური პარტია წლების განმავლობაში ეფექტურად იყენებდა"*(გოლცი, 2014, გვ.5). მართალია, თომას გოლცმა ვერ მოიპოვა აღნიშნული ინტერვიუ, თუმცა მან საქართველოს უახლესი ისტორიის ბევრი საინტერესო მოვლენა გააშუქა მოგვიანებით თავის წიგნში „საქართველო ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში", რომელშიც პირველი სამი პარაგრაფი დათმობილი აქვს ეძღვნება ჩვენს მიერ განხილულ პერიოდს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავს დეზინფორმაციებს აქტიურად იყენებდა სამხედრო საბჭო ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან ბრძოლის გასამართლებლად.

1992 წლის იანვრის დასაწყისიდან საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას წარმოადგენდა სამხედრო საბჭო, რომელშიც შედიოდნენ: ჯაბა იოსელიანი, თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი, რომელიც პრემიერ–მინისტრად დანიშნეს. იმავე წლის მარტის დასაწყისში მათ საქართველოში მოიწვიეს სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც თბილისში 7 მარტს ჩამოვიდა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სიტყვით გამოსვლისას მან ისაუბრა თავის გეგმებზე და განაცხადა: *„მე ჩამოვედი იმისათვის, რომ მკლავები დავიკაპიწო და ჩემს ხალხთან ერთად ვიშრომო და ვიღვაწო ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად"* (საქართველოს რესპუბლიკა, 1992, გვ. 2).

მისი შესაძლო დაბრუნების შესახებ დასავლური გამოცემები ჯერ კიდევ იანვრიდან წერდნენ, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ მიმართვა გამოაქვეყნა საქართველოს მოქალაქეთა მიმართ. ვიდრე უშუალოდ განვიხილავთ თუ როგორ გაშუქდა ბრიტანული და ირლანდიური პრესის ფურცლებზე ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების საკითხი, მოკლედ უნდა შევეხოთ 1992 წლის 1 მარტს ჟურნალ Illustrated London News–ში გამოქვეყნებული სტატიას „კრიზისი საქართველოში" (Illustrated London News, 1992, გვ.12-13). პუბლიკაციაში აღწერილია სამოქალაქო დაპირისპირების შედეგები და ქვეყანაში არსებული ვითარება. სტატია მნიშვნელოვანი იმითაც, რომ მას თანდართული აქვს ფერადი, მაღალი ხარისხის

ფოტოები, რომლებზეც აღბეჭდილია, როგორც უშუალოდ შეიარაღებული დაპირისპირების პერიოდი, ასევე მისი შემდეგი დღეები. მასში აღნიშნულია ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების საკითხი და ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესაძლო გაწევრიანება.

აქტიურად აშუქებდა ბრიტანული პრესა ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებას, 1992 წლის 7 მარტს ამ საკითხთან დაკავშირებით, სამ გაზეთში გამოქვეყნდა პუბლიკაციები. გამოცემა Aberdeen Press and Journal წერდა, რომ სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ *„გუშინ განაცხადა, რომ ბრუნდება საქართველოში, თავის სამშობლოში, რათა დაეხმაროს ქვეყანას პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსიდან გამოსვლაში“* (Aberdeen Press and Journal, 1992, გვ.58). ამავე პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ედუარდ შევადნაძეს ხელში ეჭირა სამგზავრო ბილეთი მხოლოდ ერთი მიმართულებით და აპირებდა საქართველოში გამომგზავრებას. ამავე საკითხზე წერდა Liverpool Echo რომლის პუბლიკაციაშიც საუბარია სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის დაბრუნებაზე სამშობლოში რომ *„დაეხმაროს საქართველოს თავი დააღწიოს და დაასრულოს პოლიტიკური ქაოსი“* (Liverpool Echo, 1992, გვ.5).

გამოცემა Newcastle Journal რუბრიკაში „მსოფლიო დღეს“, მიმოიხილავს საქართველოში არსებულ ვითარებას და აღნიშნავს, რომ აქ აპირებს დაბრუნებას ედუარდ შევარდნაძე, რომლის განცხადებითაც *„ქვეყნის ეკონომიკა არის მთლიანად განადგურებული და მისი მიზანია ქვეყანა გამოიყვანოს ამ რთული ვითარებიდან“* (The world This Day, 1992, გვ.5).

1992 წლის 8 მარტს ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებიდან მეორე დღეს ირლანდიურმა გამოცემამ Sunday Tribune-მა გამოაქვეყნა პუბლიკაცია სათაურით, „ვეტერანი გაემართა საქართველოში“. სტატია მკითხველს აწვდის მოკლე ინფორმაციას ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური კარიერის შესახებ. განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ ის არის *„მიხეილ გორბაჩოვთან ერთად გარდაქმნის პოლიტიკის ერთ–ერთი არქიტექტორი. ცივი ომის დასრულებასა და გერმანიის გაერთიანებაში მის როლს განსაკუთრებით აფასებენ კაპიტალისტურ სამყაროში“* (Sunday Tribune, 1992, გვ.15). ამავე სტატია აღწერილია თუ როგორ დახვდნენ მას საქართველოში. თბილისის აეროპორტში ელოდებოდნენ ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი, რომლებიც *„ხელმძღვანელობდნენ აჯანყებას, საქართველოს გაქცეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ“.* (Sunday Tribune, 1992, 15).პუბლიკაციის მიხედვით ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში დაბრუნების შემდეგ უნდა დაიკავოს პარლამენტარის სავარძელი.

1992 წლის 9 მარტს გაზეთ Aberdeen Press and Journal–ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია ინფორმაციას გვაწვდის ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გადადგმულ ნაბიჯებზე, როგორც სტატიაში ვკითხულობთ: *„ედუარდ შევარდნაძე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეხვდა ხელისუფლების ლიდერებს, რომ დაეხმაროს მათ*

დაგეგმონ ქვეყნის ახალი განვითარება, წელს დაწყებული სისხლიმღვრელი სამოქალაქო ომის შემდეგ". (Aberdeen Press and Journal, 1992, გვ. 7). სტატიაში ასევე მოკლედ არის განხილული მისი პოლიტიკური გზა, ხოლო ბოლოს კი აღნიშნულია, რომ ედუარდ შევარდნაძის განცხადებით *„აუცილებელია დაინიშნოს ახალი არჩევნები და შეიქმნას პარლამენტი პრეზიდენტის გავლენის გარეშე"* (Aberdeen Press and Journal, 1992, გვ. 7).

სამხედრო საბჭომ, რომელმაც თავი ქვეყნის მმართველად გამოაცხადა 1992 წლის იანვრის დასაწყისიდან, იმავე წლის 10 მარტს ხელისუფლება ოფიციალურად გადააბარა, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს. (საქართველოს რესპუბლიკა... 1992: 1)რომელსაც უნდა შეესრულებინა საქართველოს დროებითი მთავრობის ფუნქციები და მას ხელმძღვანელობდა ედუარდ შევარდნაძე.

აღნიშნული მოვლენა გააშუქა ირლანდიურმა გამოცემამ Evening Herald Dublin–მა პუბლიკაციაში სათაურით, „ედუარდი თბილისში". მასში მიმოხილულია, როგორც ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების საკითხი. ასევე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შექმნაც და აღნიშნულია, რომ *„საქართველოში შვიდი წლის შემდეგ დაბრუნებული საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ახალი თანამდებობა მიიღო და ის დაინიშნა, სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელად"* (Evening Herald Dublin, 1992, გვ.4)

1992 წლის მარტის დასაწყისში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ვრცელი პუბლიკაცია მიუძღვნა გამოცემა Newcastle Journal–მა სათაურით „შევარდნაძე დაბრუნდა მშვიდობის იმედით", სტატიის შესავალში განხილულია ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური კარიერის ძირითადი მომენტები და ასევე აღნიშნულია, რომ *„ის საქართველოში დაბრუნდა სამხედრო საბჭოს მოწვევით, რომელიც ქვეყანას მართავს, იანვრის შემდეგ"* (Newcastle Journal, 1992:10). აქვე მკითხველს აწვდის ცნობას ედუარდ შევარდნაძის სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებაც და მოყვანილია სამხედრო საბჭოს შესაბამისი განცხადება. სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოსახლეობის *„უდიდესი ნაწილია მოხარულია მისი დაბრუნებით და იმედოვნებენ, რომ დაამყარებს მშვიდობას ქვეყანაში"* (Newcastle Journal, 1992, გვ.10). პუბლიკაციის ბოლოს ხაზგასმულია, რომ საქართველო აღმოჩნდა საერთაშორისო იზოლაციაში, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ალმა–ატის სამიტზე მონაწილე 12 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან მხოლოდ საქართველომ არ მოაწერა ხელი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ახალ გაერთიანებას. ბოლო პუბლიკაცია, რომელიც აღნიშნულ საკითხზე უნდა განვიხილოთ გამოქვეყნდა ბრიტანულმა გაზეთმა Staffordshire Sentinel–ში სათაურით „ძალაუფლება შევარდნაძეს", რომელშიც აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სამშობლოში დაბრუნების მიზანს წარმოადგენს მისი სურვილი, რომ *„დაეხმაროს საქართველოს დაუბრუნდეს განვითარების ძველ რელსებს, სამოქალაქო ომის შემდეგ"* (Staffordshire Sentinel, 1992, გვ.4). ამავე სტატიაში აღნიშნულია ისიც, რომ ედუარდ შევარდნაძე დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ და აპირებს ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას.

დასკვნა

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობამ ერთგვარად დააჩქარა საქართველოში შიდა პოლიტიკური დაძაბულობის გაღრმავება. 1991 წლის სექტემბრის დასაწყისიდან ოპოზიციის გამოსვლებმა და დაპირისპირებამ ხელისუფლებასთან შეუქცევადი ხასიათი მიიღო. აღნიშნულ მოვლენებს პირველივე დღიდანვე აშუქებდნენ ბრიტანული და ირლანდიური გამოცემები. ზოგიერთ მათგანს საქართველოში ჰყავდათ კორესპოდენტები, რომლებიც პირდაპირ, მოვლენების ეპიცენტრიდან გადასცემდნენ ახალ ამბებს. მათი სათაურების ცვლილება პირდაპირ მიგვანიშნებს მდგომარეობის სირთულეზე, რაც საბოლოოდ 1992 წლის 6 იანვარს დასრულდა ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობით და 1992 წლის მარტის დასაწყისში საქართველოში სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევადნაძის დაბრუნებით, რომელსაც ასევე ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა მისი პოლიტიკური წარსულის გამო. ედუარდ შევარდნაძემ მიხეილ გორბაჩოვთან ერთად დიდი როლი შეასრულა ცივი ომის დასრულებაში და საბჭოთა კავშირის დაშლაში. ამდენად ბრიტანაულ და ირლანდიურ გამოცემებში მისი დაბრუნება საქართველოში შეფასდა სამოქალაქო დაპირისპირების დასრულებისა და მშვიდობის აღდგენის გარანტი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

გოლცი, თ. (2014). *საქართველო ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში.* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

შველიძე, დ. (2008). *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987–1992 წ.წ).* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“. McCauley, M. (2013). *The Rise and Fall of the Soviet Union.* London: Publishing House Taylor & Francis Group.

Гамсахурдиа, З. (1996). *За независимую Грузию.* Москва.

პერიოდული პრესა

გაზეთი. საქართველოს რესპუბლიკა. (1991). #72. გვ. 1.

ჟურნალი. *“Aberdeen Press and Journal”.* (1991) December 24th

ჟურნალი. *“Aberdeen Press and Journal”.* (1991) December 27th

ჟურნალი. *“Aberdeen Press and Journal”.* (1991) December 28th

ჟურნალი. *“Aberdeen Press and Journal” .* (1991) December 31th

ჟურნალი. *“Aberdeen Press and Journal”.* (1992) January 4th

ჟურნალი. *“Aberdeen Press and Journal”,* (1992) March 7th

ჟურნალი. *"Aberdeen Press and Journal".* (1992) March 7th
გაზეთი.*"Aberdeen Evening Express".* (1992) January 8th
გაზეთი. *"Evening Herald Dublin".* (1992) March 11th
გაზეთი."*Illustrated london News"* . (1992) March 1th
გაზეთი. "*Irish Independet*". (1991). December 24th
გაზეთი. "*Irish Independet".* (1991) December 30th
გაზეთი. "*Irish Independet"* (1992) January 3th
გაზეთი. "*Irish Independet".* (1992) January 6th
გაზეთი."Irish Independet". (1992, January 8th
გაზეთი. *Irish Independet".* (1992) January 17th)
გაზეთი."*Irish Independet"* .(1992) January 18th
გაზეთი. *"Liverpool Echo"* .(1992) January 7th
გაზეთი. *"Liverpool Echo".* (1992) March 7th
ჟურნალი."*Newcastle Journal"* , (1992) March 7th)
ჟურნალი. *"Newcastle Journal".* (1992) March 11th
გაზეთი.*"Sunday Tribune*". (1991) December 29th
გაზეთი."*Sunday Tribune".* (1992) January 5th
გაზეთი. *"Sunday Tribune"*. (1992) February 9th
გაზეთი. "*Sandwell Evening Mail".* (1992) January 18th
გაზეთი.*"Sunday Independent (Dublin)".* (1992) January 19th
გაზეთი."*Sunday Tribune".* (1992) March 8th
გაზეთი. *"Staffordshire Sentinel".* (1992) March 11th

REFERENCES

Gamsakhurdia, Z. (1996). Za nezavisimuyu Gruziyu. Moscow.

Golts'i, T. (2014). Sak'artvelo omisa da p'olit'ik'uri kaosis k'ronika p'ostsabch'ota k'avk'asiashi. Tbilisi: Art'anudji.

McCauley, M. (2013). The rise and fall of the Soviet Union. London: Taylor & Francis Group.

Shvelidze, D. (2008). P'olit'ik'uri dap'irisp'irebebi da erovnuli khelisup'lebis damkhoba sak'artveloshi (1987–1992 ts'.ts'). Tbilisi: Universali.

Periodical press

gazeti *Sakartvelos Respublika*. (1991). No. 72, p. 1.

jurnali. *"Aberdeen Press and Journal".* (1991) December 24th
jurnali. *"Aberdeen Press and Journal".* (1991) December 27th
jurnali.. *"Aberdeen Press and Journal".* (1991) December 28th
jurnali. *"Aberdeen Press and Journal" .* (1991) December 31th
jurnali. *"Aberdeen Press and Journal".* (1992) January 4th
jurnali.. *"Aberdeen Press and Journal",* (1992) March 7th
jurnali.. *"Aberdeen Press and Journal".* (1992) March 7th
gazeti."*Aberdeen Evening Express".* (1992) January 8th
gazeti. *"Evening Herald Dublin".* (1992) March 11th
gazeti ."*Illustrated london News"* . (1992) March 1th
gazeti. "*Irish Independet*". (1991). December 24th
gazeti. "*Irish Independet".* (1991) December 30th
gazeti. "*Irish Independet"* (1992) January 3th
gazeti. "*Irish Independet".* (1992) January 6th
gazeti."Irish Independet". (1992, January 8th
gazeti. *Irish Independet".* (1992) January 17th)
gazeti."*Irish Independet"* .(1992) January 18th
gazeti. *"Liverpool Echo"* .(1992) January 7th
gazeti. *"Liverpool Echo".* (1992) March 7th
jurnali. "*Newcastle Journal"* , (1992) March 7th)
jurnali. *"Newcastle Journal".* (1992) March 11th
gazeti.. *"Sunday Tribune*". (1991) December 29th
gazeti. "*Sunday Tribune".* (1992) January 5th
gazeti. *"Sunday Tribune"* . (1992) February 9th
gazeti.. "*Sandwell Evening Mail".* (1992) January 18th
gazeti.o. *"Sunday Independent (Dublin)".* (1992) January 19th
gazeti.."*Sunday Tribune".* (1992) March 8th
gazeti.. *"Staffordshire Sentinel".* (1992) March 11th